



19.01.2013


„კანონი ადამიანისთვისაა!“ - მოხვევები ჰესების მშენებლობის წინააღმდეგ



სტატიები

ეკა მაღალდაძე

შეუერთდი განხილვას



ხდის ხეობასა და თერგის აუზში მშენებარე და დაგეგმილი ჰესების მშენებლობის შესახებ კინოს სახლში შეხვედრა გაიმართა.

ამავე თემაზე

კოჰაბიტაცია ბუნების წინააღმდეგ

“რა არის დარიალი თერგის გარეშე?!”

მანანა ქოჩლაძე - გარემოს დაცვას პრაგმატული მნიშვნელობა აქვს

“არა დიდ კაშხლებს”

ყაზბეგის რაიონში ათის ნაცვლად ოთხი ჰესი აშენდება

დარიალჰესთან დაკავშირებული მტკიცებულებების კვლევა დასრულდა

დიდი ჰესები - გადასახლება სვანეთიდან

დიდი კაშხლების წინააღმდეგ

არაევროპული არჩევანი

„დიდი კაშხალი - დიდი უბედურებაა!“

მინისტრობის ოთხი წელი

გარემოს დაცვის სამინისტროსა და “მწვანე ალტერნატივას” შორის სამართლებრივი დავა გრძელდება

„ხდის ხეობა უნიკალური და გამორჩეულია. სიგრძით სულ 20-22 კმ. ზაფხულის დასაწყისში თუ შეხვალ, შეიძლება ხეობის ბოლოს ჯერ კიდევ ადრეული გაზაფხული იყოს. ფლორისა და ფაუნის უამრავი ენდემური სახეობა, შენარჩუნებული იშვიათ და მრავალფეროვან მცენარეთა სამყარო.. ხდის ხეობა საბჭოთა პერიოდშივე იყო კულტურის ძეგლად გამოცხადებული. მეორე ტურისტულ მექადაა ქცეული ყაზბეგის რაიონი და მითხარით, რომელი დასავლური ქვეყანა მოექცეოდა ასეთ უნიკალურ ხეობებს ასე უდიერად? ამ ხეობაში ევროპულ სახელმწიფოში ჰესს ააშენებდნენ? ხელყოფდნენ? არა მგონია!“

მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდენტი შოთა მირიანაშვილი ამ სიტყვით კინოს სახლში გამართულ შეხვედრაზე გამოვიდა. ყაზბეგის რაიონში, ხდის ხეობასა და მთლიანად თერგის აუზში მშენებარე თუ დაგეგმილი ჰესების პროექტების შესახებ საჯარო შეხვედრა 17 იანვარს კინოს სახლში ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია „სტეფანწმინდისა“ და „მწვანე ალტერნატივას“ ორგანიზებით ჩატარდა.

ჯერ კიდევ შეხვედრის დაწყებამდე სტეფანწმინდის გამგებელმა შალვა ელოშვილმა ჩვენთან საჯარო დისკუსიის აუცილებლობაზე ისაუბრა, რა თქვა, რომ ამ ტიპის საკითხები საზოგადოებრივი განსჯის საგანი უნდა იყოს. „იქ, სადაც ამდენი კითხვა არსებობს, აუცილებლად საჭიროა საჯარო განხილვა. მით უმეტეს ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე.“

რაც შეეხება ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულებას, გამგებელი ამბობს, რომ განწყობა არაერთგვაროვანია და ზოგი ჰესის მშენებლობას დასაქმების საშუალებად მიიჩნევს - „გარდა იმისა, რომ ზოგადად ინფორმაცია ძალიან ცოტა აქვთ, ზოგს ძალიან უჭირს და მათთვის ჰესის მშენებლობაზე დროებითი დასაქმებაც მნიშვნელოვანია და ამ მშენებლობებს ემხრობიან. ის კი, ვისაც სხვა სამსახურიც აქვს და გრძელვადიანადაც ფიქრობს, ის წინააღმდეგია.“

გავსებულ დარბაზში სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, ხევიდან ჩამოსული მოსახლეები, დაინტერესებული მოქალაქეები, გარემოს დაცვის კომიტეტის წევრები ისხდნენ. შეხვედრას გარემოს დაცვის მინისტრი ხათუნა გოგალაძე და ენერჯეტიკის მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილიც დაესწრნენ.

ეკრანზე დარიალის ხეობაში შემოდგომაზე გადაღებული ფოტოებს აჩვენებდნენ, რომლებზეც მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები, მიწაში ჩადებული მილები და მთის ძირში გათხრილი გვირაბები ჩანს. სლაიდების მეორე ნაწილზე კი ჯერ კიდევ ხელუხლებელი ხდის ხეობის ფოტოები იყო აღბეჭდილი. შეხვედრა „სტეფანწმინდის“ თანათავმჯდომარემ შოთა ბუჩუკურმა გახსნა. ხდის ხეობაში მიმდინარე ბროლისწყალზე მშენებარე ჰესების საწინააღმდეგო კამპანია სწორედ მათი ორგანიზებულია. ჰესების ახალი კასკადის გეგმის შესახებ მათთვის ცოტა ხნის წინ გახდა ცნობილი.

თითქმის ნახევარ საათს „მწვანე ალტერნატივას“ ბიომრავალფეროვნების კოორდინატორი ირაკლი მაჭარაშვილი დამსწრეებს დარიალის ხეობაში მიმდინარე მშენებლობის კანონიერების შესახებ უყვებოდა. ის შეეხო 2008 წლის 18 აპრილის მთავრობის დადგენილებას, რომლითაც, ფაქტობრივად, საფუძველი შეექმნა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას და რომლის საფუძველზეც ენერჯეტიკის მინისტრმა პოტენციური ასაშენებელი ჰესების ნუსხა გამოსცა.

„ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის ჯერ ხელშეკრულება იდება, განისაზღვრება სიმძლავრე, აშენება-დამთავრების ვადები და მხოლოდ ამის მერე ხდება გარემოზე ზემოქმედების შეფასება, როგორც არა საჭირო რამ, არამედ ბიუროკრატიული აუცილებლობა,“ - განაცხადა მაჭარაშვილმა. მან დამსწრეებს უშუალოდ **დარიალჰესის მშენებლობის** შესახებაც უამბო.

მისი თქმით, მშენებლობა ხეობაში ნებართვის გაცემამდე 2011 წლის სექტემბერში დაიწყო, ეკოლოგიური ექსპერტიზა პროცედურული ვადების დარღვევით, ვადაზე ადრე დასრულდა და გარემოსდამცველებს მონაწილეობის საშუალება არ მიეცათ. ჰესისთვის საჭირო ტერიტორია ყაზბეგის ეროვნული პარკის შემადგენლობაში არსებულ 2.64 ჰა-საც მოიცავდა. თუმცა, საქართველოს მთავრობის განკარგულებით, 9 ჰა-მდე ტერიტორია ჰესის მშენებელ კომპანია „დარიალი ენერჯის“ გადაეცა სარგებლობაში. უკვე გაზაფხულზე კი პარლამენტმა კანონმდებლობაში ცვლილება შეიტანა და ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიიდან 20 ჰა ამოიღო. „მწვანე ალტერნატივა“ გარემოს დაცვის სამინისტროს ამ ნებართვის გაუქმებას სასამართლოს გზით სთხოვდა, თუმცა, 19 დეკემბერს სააპელაციო სასამართლომ მათი სარჩელი არ დააკმაყოფილა. ორგანიზაცია ბრძოლას პროკურატურაში აგრძელებს.

მაჭარაშვილის შემდეგ შეხვედრაზე „ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის“

წარმომადგენელმა ნუგზარ ზაზანაშვილმა ჰესების დაგეგმვის სტრატეგიაზე ისაუბრა და განმარტა, რომ ხელუხლებელი ხეობები სწორედ ეკონომიკური, ტურისტული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის გამოც უნდა შენარჩუნდეს. „გარდა იმისა, რომ უნიკალურ ადგილს ვმარხავთ, ვანადგურებთ იმ პოტენციალსაც, რომელსაც ის ტურისტული მხარე გვაძლევს. სად არის ისეთი კვალიფიციური შეფასება, რომ აგვიხსნას გრძელვადიან პერსპექტივაში რა უფრო მნიშვნელოვანი იქნება რეგიონისთვის - 6 მილიონი ჰესის აშენება თუ უდიდესი ტურისტული პოტენციალის შენარჩუნება-განვითარება?!“

ხდის ხეობაში, მდინარე ბროლისწყალზე ჰესის მშენებლობის დაწყება იანვრის ბოლოს იგეგმება. როგორც „სტეფანწმინდამ“ გაარკვია, ამ ჰესის გარდა, ყაზბეგში კიდევ 7 ჰესის აშენებაა დაგეგმილი. საქართველოს მთავრობასა და მალტაში რეგისტრირებულ GR ENERGY LIMITED-ს შორის გაფორმებული მემორანდუმით, კომპანიამ 7 ჰესის მშენებლობა წელს, აგვისტოში უნდა დაიწყოს. ათივე ჰესი დერივაციული ტიპისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყაზბეგის რაიონის მდინარეების დიდი ნაწილი თრუსოს ხეობიდან დარიალის სასაძღვრო-გამშვებ პუნქტამდე მილებში მოექცევა.

ყაზბეგის მკვიდრმა ზაზა წიკლაურმა დამსწრეებს რუკაზე აჩვენა, თუ რა ადგილებში იგეგმება ჰესების კასკადის აშენება და მდინარე თერგის კალაპოტი რომელ მონაკვეთებში დარჩება უწყლოდ.

„თრუსოს ხეობა, სნოს ხეობა, დარიალის ხეობა.... თითქმის მთელ სიგრძეზე თერგი სადერივაციო მილებში გაივლის. თერგში წყალს მხოლოდ ქარქუჩიდან წყალახიდან და ვინახავთ. შეიძლება უშუალოდ ხდის ხეობაში დაგეგმილი 6 მეგავატიანი ჰესი პატარაა, მაგრამ იმ ხეობისთვის ეს დასამარება იქნება. ბევრი გვსმენია კაშხლების გამო დატბორვის საშინელებაზე, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს დატბორვით მოვკლავთ აქაურობას თუ უწყლობით?“ - წიკლაურის ემოციურ გამოსვლას დარბაზი ტაშით შეხვდა.

ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ შალვა ელოშვილმა საზოგადოებას ამცნო, რომ ეს ჰესები (ჯუთაში დაგეგმილი ჰესის გარდა) აღარ აშენდებოდა და რომ მათ ნერვიულობის მიზეზი არ ჰქონდათ, „ინვესტორმა გვითხრა, რომ აღარ ააშენებს ამ ჰესებს და ამჟამად ამ ჰესებზე ინტერესი არაა გამოხატული.“

თუმცა წიკლაურმა უპასუხა: „ინტერესი ამ ჰესებზე სახელმწიფოს მხრიდანაა გაცხადებული. და საჭიროა, თავად სამინისტრომ თქვას უარი ამ ადგილებში ჰესების აშენებაზე, სანამ ახალი კომპანია გამოთქვამს ინტერესს. ამიტომ მოგმართავთ, რომ გელაპარაკოთ, რომ ვიმსჯელოთ და გადავწყვიტოთ.“

ზაზა წიკლაურს არ სჯერა, რომ დანარჩენი ჰესები აღარ

აშენდება, მისი თქმით, ჰესების კასკადი მთლიანობაშია ჩაფიქრებული და დარიალისა და ლარსის ჰესებიც სრულყოფილად ვერ იფუნქციონირებს თუ დანარჩენები არ აშენდება.

მოხვევებს გარემოს დაცვის მინისტრმაც მიმართა: „თითოეული ჰესი უნდა იყოს და გპირდებით, რომ იქნება სერიოზული განსჯის საგანი. თუმცა, უნდა ვაღიაროთ რომ მძიმე მემკვიდრეობა გვხვდა წილად, ვართ რთულ გარდამავალ პერიოდში. სისტემა რომ წლების წინ კარგად განვითარებულიყო, დღეს სულ სხვა საკითხებზე ვიმსჯელებდით. ჩვენ კი ამ ეტაპზე ხშირ შემთხვევაში სტრუქტურული და ტექნიკური საკითხების გადაჭრით ვართ დაკავებული. უნდა ვთქვათ ისიც, რომ პროცედურები ხშირად არაა გამართული, ვადებიც ცოტაა, ჩვენ თითქმის არ გვაქვს საშუალება თითოეულ გარემოზე ზემოქმედების ანგარიშზე ცალკე კვლევა ჩავატაროთ, ამიტომ ასეთი საკითხები ერთად უნდა განვიხილოთ ექსპერტებთან, დაინტერესებულ მხარეებთან ერთად და გარემოსდამცველებისა და ინვესტორების პოზიციები დავაბალანსოთ.“

მინისტრს სიტყვა მწერალმა ნაირა გელაშვილმა შეაწყვეტინა: „როცა მთელი გარემოსდაცვითი სისტემა დანგრეულია, როცა არც საზომები გაქვთ, არც კრიტერიუმები, არც ინფორმაცია, ყველანაირი მშენებლობა უნდა შეაჩეროთ. და საერთოდაც, ასეთ შეხვედრებს თქვენ უნდა იწვევდეთ, სტუმრად კი არ მოდიოდეთ, განგაშის ზარებს თქვენ უნდა რეკავდეთ. ის, რაც გაკეთდა უკვე კატასტროფაა. ხომ იცით, რომ ეს შეუქცევადი პროცესია, რაც დანგრეულია, იმას ვეღარ გადაარჩენთ!“

შეხვედრა ხმაურით გაგრძელდა. ზაზა წიკლაურმა მინისტრს კონკრეტულ პასუხი მოსთხოვა, შეაჩერებს თუ არა ის დაწყებულ მშენებლობებს. თუმცა, მინისტრმა განმარტა, რომ დარიალჰესზე ნებართვა იყო გაცემული, მის კანონიერებას „მწვანე ალტერნატივა“ სასამართლოში არკვევდა. „ვერავინ მეტყვით, რომ მე რამენაირი ზეწოლა მოვახდინე სასამართლოზე, დარიალჰესზე კომენტარსაც კი არ ვაკეთებდი. სასამართლოში წასულ საქმეზე მე როგორ მიმელო გადაწყვეტილება?“

ირაკლი მაჭარაშვილის მტკიცებით, სამინისტროს პოლიტიკური გადაწყვეტილება უნდა ამელო და წინა შემადგენლობის მიღებულ გადაწყვეტილებას გამიჯვნოდა:

„სასამართლოში ხომ თქვენი ექსპერტები და იურისტები გვედავებოდნენ, არც ერთ შუამდგომლობას არ ეთანხმებოდნენ, დამატებითი მტკიცებულებების დართვის შესახებაც წინააღმდეგებიც კი იყვნენ, ისინი ხომ პრაქტიკულად ძველ შემადგენლობას იცავდნენ?“

მოხვევები დაჟინებით მოითხოვდნენ მინისტრის პასუხს - გაგრძელდება თუ არა დარიალის ხეობაში მიმდინარე ჰესების მშენებლობა.

მინისტრის თქმით, მას გაცემული ნებართვის გაუქმება მხოლოდ იმ შემთხვევაში

შეუძლია, თუ მასში ჩადებული პირობები ირღვევა. „გაცემული ნებართვის გაუქმების საფუძველი მხოლოდ ის ვერ გახდება, რომ სამინისტროს ხელმძღვანელობა შეიცვალა,“ - ამბობდა გოგალაძე.

„კანონი ადამიანისთვისაა და არა ადამიანი კანონისთვის!“, „ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ ავაშენებთ თუ არა,“ „ის, რომ დარიალის ხეობა აღარ გვექნება, საკმარისი არაა, რომ რამე შევცვალოთ?!“ „ხალხიც აქ ვართ და პასუხისმგებელი პირებიც აქ ხართ, ვიმსჯელოთ და გადავწყვიტოთ, თუ არ მოგვწონს, შევცვალოთ, ის კანონიც ხომ ჩვენს ხელთაა და გადაწყვეტილებაც ჩვენ მივიღოთ,“ - ისმოდა დარბაზიდან წამომახილები.

მინისტრმა გარემოსდამცველებსა და საზოგადოების წარმომადგენლებს კიდევ რამდენიმე შეხვედრა შესთავაზა. თუმცა, კონკრეტული დაპირება მოხვევებისთვის არ მიუცია.

თითქმის სამსაათიანი შეხვედრის დასრულების შემდეგ მონაწილეებმა საქართველოს მთავრობისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტისადმი სპეციალურ მიმართვას მოაწერეს ხელი:

„შეჩერდეს ყაზბეგის რაიონში მშენებარე და დაგეგმილი ჰესების პროექტები, სანამ არ მოხდება საზოგადოებისთვის იმის დასაბუთება, თუ რა საჭიროებას წარმოადგენს ამ ჰესების აშენება, რამდენად მიზანშეწონილია ყაზბეგის რაიონში 10 ჰესის აშენება და რა ზიანს მიაყენებს ყოველივე ეს რაიონის ბუნებასა და მოსახლეობას.“



Add a comment...

Post to Facebook

Posting as Natalia Ksovreli (Change)

Comment



Zack Korashvili · Follow · Works at სამოქალაქო ინიციატივა - civic initiative

ამაზე საერთოდ მსჯელობაც კი გამადიზიანებელია. როგორ შეიძლება გაანადგურო ეს უნიკალური ადგილი.

Reply · Like · Follow Post · 21 hours ago



Shota Buchukuri · 24 years old

სამწუხაროდ, რეალობაა

Reply · 3 · Like · Follow Post · 19 hours ago



Khatuna Baidurashvili

tergis ,, trubashi" gashveba vin gaigona, sul charecxavs I'm sabajos:)

Reply · Like · Follow Post · 21 hours ago

Facebook social plugin